საქართველო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

N 1631/01
19/02/2019

1631-01-2-201902191147

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს
ქალბატონ ნანა აფციაურს

ქალბატონო ნანა,

გიგზავნით შესაგებელს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" სარჩელის თაობაზე. საქმე N3/5294-18.

დანართი: 39 ფურცელი. 3 CD დისკი.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 20.02.19.
შემოსვლის დრო 5
შემოსვლის N 2858063
ფურცლების რაოდენობა 13გ 03გზ 03

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას
*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

# შესაგებელი
## სამოქალაქო საქმეზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო * 02 *
№ 16310/01 „19" 02 2019 139 8.

საქმე №3/5294-18

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

ნანა აფციაური
მოსამართლის სახელი და გვარი

**მოპასუხე:**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

პირადი (საიდენ.) ნომერი

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

**მოპასუხის წარმომადგენელი:**

ნინო თანდილაშვილი
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი:**

გიორგი ლანჩავა
სახელი, გვარი

სახლის ტელ.

598845554
მობილური

ელექტრონული ფოსტა

ვალდებული ხართ, თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.
სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლომ შესაძლოა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

## სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |
|---|---|---|
| | | |

| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |
|---|---|
| | |

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

### ცნობთ თუ არა სარჩელს?

- დიახ ☐
- არა ☒
- ნაწილობრივ ☐

# მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

# დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით სასარჩელო მოთხოვნას, "შპს "საქართველოს საერთაშორის ენერგეტიკული კორპორაციას" მიერ 110 კვ-იანი ეგხ "მარანი"-ს (რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის N2-112 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

შპს "საქართველოს საერთაშორის ენერგეტიკული კორპოციას" მიერ 110 კვ-იანი ეგხ "მარანი"-ს (რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის N2-112 ბრძანება კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვითაა გამოცემული და მისი ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი არ არსებობს.

სასამართლოს მოვახსენებთ, რომ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ" 2017 წლის 31 აგვისტოს სამინისტროში წინასწარი/საჯარო განხილვის მიზნით წარმოადგინა „ქ. გარდაბანში, თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე 110 კვ-იანი ეგხ „მარანი"-ს რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 2018 წლის პირველ იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით.

აღნიშნული დანაწესის შესაბამისად, სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, წარმოდგენილი შეფასების განხილვაში ჩართული იყვნენ სამინისტროს



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ: შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციას", მიერ წარმოდგენილ „ქ. გარდაბანში, თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე 110 კვ-იანი ეგხ „მარანი"-ს რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის" გზშ-ს ანგარიში განსახილველად გადაგზავნილ იქნა სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესაბამის დეპარტამენტებში 2017 წლის პირველი სექტემბრის N7654 და N7653 წერილებით.

სამინისტროს მიერ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას მოზადებული იქნა შენიშვნები და წინადადებები, რომელიც სამინისტროს მიერ 2017 წლის 11 ოქტომბრის N8653 წერილით მიეწოდა საქმიანობის განმახორციელებელს.

ამასთან, 2017 წლის 20 ოქტომბერს, ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში კანომდებლობით დადგენილი წესით მოწყობილ საჯარო განხილვაზე სამინისტროს წარმომადგენელმა, საქმიანობის განმახორციელებელსა და დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგინა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით წარიმართა. მითითებული კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საჯარო განხილვის ჩატარება უზრუნველყო საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2017 წლის 20 ოქტომბერს ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში და საჯარო განხილვაზე დასწრება და შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა როგორც საჯარო განხილვაზე, ისე წერილობით შეეძლო საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. აღნიშნულ შეხვედრას ასევე ესწრებოდა სამინისტროს წარმომადგენელი. ამასთან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საჯარო განხილვის ოქმი ასახავს საჯარო განხილვის შედეგებს და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს, რომლის შედგენაც საჯარო განხილვიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყო საქმიანობის განმახორციელებელმა.

2018 წლის 5 თებერვლის N988/04 წერილით, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ" სამინისტროში წარმოადგინა „ქ. გარდაბანში, თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე 110 კვ-იანი ეგხ „მარანი"-ს რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. შესაბამისად, ინფორმაცია შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციის" მიერ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის ეტაპზე მიღებული შენიშვნების გათვალისწინების თაობაზე ასახულია ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (გვ 116-117. ცხრილი 10.1. ქ. გარდაბანში, თბილსრესის მიმდებარე ტერიტორიაზე 110 კვ-იანი ეგხ „მარანი"-ს რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 თებერვლის N2-79 ბრძანების შესაბამისად ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შეიქმნა საექსპერტო კომისია. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილა საექსპერტო კომისიამ, საექსპერტო კომისიის მიერ მომზადებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნა, საექსპერტო კომისიის დასკვნების საფუძველზე და ექსპერტიზის შედეგად 2018 წლის 28 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-112 ბრძანებით დამტკიცდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ს მიერ 110 კვ-იანი ეგხ „მარანი"-ს

(რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს "საქართველოს საერთაშორის ენერგეტიკული კორპორაციას" მიერ 110 კვ-იანი ეგხ "მარანი"-ს (რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის N2-112 ბრძანება კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით იქნა გამოცემული და მისი ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი არ არსებობს.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მოთხოვნა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, შესაბამისად გთხოვთ უარი უთხრათ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

## მტკიცებითი შუამდგომლობები

მუხლი-23

მოწმე ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

მუხლი-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

მუხლი-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

მუხლი-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

მუხლი-27

## სხვა სახის შუამდგომლობები

მუხლი 28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა:

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

მუხლი-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა** ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;

» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;

» სასამართლო ხარჯები;

» სასამართლოსგარეშე ხარჯები;

» ყოველდღიური ხარჯები.

**თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?**

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

სასამართლო მედიაცია არის დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი სახის კონფლიქტის მოგვარებას მოლაპარაკების გზით, დავაში მონაწილე მხარეთათვის მისაღები პირობებით. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე გადაეცემა მედიატორს, რომელიც არის ნეიტრალური, დამოუკიდებელი და სათანადო უნარებით აღჭურვილი პირი. მედიატორი დიალოგის წარმართვის გზით ეხმარება მხარეებს კონსენსუსის მიღწევაში.

სასამართლო მედიაციის პროცესი არ არის შეზღუდული ფორმალური პროცედურებით. მედიაცია მხარეებს აძლევს განსახილველი საკითხების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. მედიატორსა და მხარეებს უფლება არ აქვთ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას.

სასამართლო მედიაცია მხარეებს აძლევს რესურსების დაზოგვის შესაძლებლობას. მედიაციის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის კუთხით. კერძოდ, ნაცვლად 3%-სა, მხარეს ეკისრება დავის საგნის ღირებულების 1%-ის გადახდა. დავის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მხარეს უბრუნდება გადახდილი ბაჟის 70%.

მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმება სასამართლოს მიერ შეიძლება დამტკიცდეს მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებით და შესაბამისად იგი დაექვემდებარება აღსრულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია წარადგინოს სარჩელი საერთო წესების დაცვით.

**თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე გადაეცეს სასამართლო მედიაციას?**

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

## თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის 2018 წლის 22 მარტის 2-175 ბრძანება. 2 (ორი) ფურცელი

დანართი 2: შპს "საქართველოს საერთაშორის ენერგეტიკული კორპორაციას" მიერ 110 კვ-იანი ეგხ "მარანი"-ს (რეკონსტრუქცია/მშენებლობის და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის N2-112 ბრძანებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები. 1 CD დისკი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 2 ფურცელი და 1 CD დისკი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

ღიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა 33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

ხართ თუ არა დადგენილი წესით რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებთ თუ არა საარსებო შემწეობას?

ღიახ ☐ *გთხოვთ, დაურთოთ მტკიცებულება*

არა ☒

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

ღიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

## სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები

თუ არ გამოცხადდით სხდომაზე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თქვენს წინააღმდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად.
თუ სხდომაზე არ გამოცხადდით არც თქვენ და არც მოსარჩელე მხარე, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.
ვალდებული ხართ, გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოთ სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.
უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს.
ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს. წარმომადგენელი ვალდებულია, მისთვის უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მოპასუხეს.
წარმოადგინეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
თუ თქვენ დაესწრებით გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თქვენთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იქნება გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის შესახებ და დააპირებთ გადაწყვეტილების გასაჩივრებას, შეგიძლიათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა აუდრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეთ სასამართლოში და ჩაიბაროთ გადაწყვეტილების ასლი.

> გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
> სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ნ. [signature] — ნინო თანდილაშვილი — 19/02/2019 წ.

ხელმოწერა — ხელმომწერის სახელი, გვარი — შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

**ბრძანება** N 2-175

**ქ. თბილისი**

22/03/2018

ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ნინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი

მოაწეროს განცხადებებსა და მინდობილობებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;

ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემო დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ კერესელიძეს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნ. კერესელიძისთვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 18 ნოემბრის N2-229 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

ქალბატონ ნანა აჭყიაურის
თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლეს

დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.
№ 6.
თბილისი.

1631/01

საქართველოს ფოსტა
C010005898506
Georgian Post
19.02.2019